

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №163

2019 წლის 29 მარტი

ქ. თბილისი

საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ფინანსებზე ხელმისაწვდომობის „სახელმწიფო პროგრამა – საკრედიტო საგარანტიო სქემა“.

მუხლი 2

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აწარმოე საქართველოში დაევალოთ, ხოლო საქართველოს ეროვნულ ბანკს ეთხოვოს ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის დადგენილება №51 – ვებგვერდი, 08.02.2021წ.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

სახელმწიფო პროგრამა – საკრედიტო საგარანტიო სქემა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

სახელმწიფო პროგრამის – საკრედიტო საგარანტიო სქემის (შემდგომში – პროგრამა) მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (სრულად ან ნაწილობრივ), ეკონომიკის დაკრედიტების ხელშეწყობა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, მათ შორის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირება და ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №352 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

პროგრამაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პროგრამა – სახელმწიფო პროგრამა – საკრედიტო საგარანტიო სქემა;

ბ) მეწარმე სუბიექტი – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული პირი;

გ) ბენეფიციარი – მეწარმე სუბიექტი, რომელიც იღებს ახალ სესხს კომერციული ბანკისგან/მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან ან/და ახდენს კომერციულ ბანკში/მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში არსებული სესხის რესტრუქტურისა/რეფინანსირებას პროგრამის ფარგლებში;

დ) სესხი – კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ამ პროგრამისა და ხელშეკრულების ფარგლებში ბენეფიციარზე გაცემული კრედიტი;



ე) **რესტრუქტურიზებული სესხი** – „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კრედიტი, რომელიც გაცემულია კომერციული ბანკის მიერ; ასევე „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №142/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კრედიტი, რომელიც გაცემულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ;

ვ) **ფაქტობრივი პორტფელი** – პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული/რესტრუქტურიზებული სესხების ძირითადი თანხის ნაშთის ჯამური ოდენობა, რომელიც გამოხატულია ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში რესტრუქტურიზებული სესხების შემთხვევაში, თითოეული სესხის ძირითადი თანხის ნაშთის ოდენობა დაითვლება სესხის რესტრუქტურიზების დღეს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად;

ზ) **დეფოლტი** – ბენეფიციარის მიერ ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წინაშე პროგრამის ფარგლებში გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ბენეფიციარისთვის სესხის თანხის სრულად დაბრუნების შესახებ შეტყობინების გაგზავნა ან ბენეფიციარის გადახდის უუნარობის საქმის დაწყება და ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ სესხის ამოღების მიზნით შესაბამისი ქმედებების განხორციელების დაწყება, მათ შორის და არამხოლოდ, სასამართლოსთვის ან/და არბიტრაჟისთვის მიმართვა, სააღსრულებო ფურცლის გაცემის მიზნით ნოტარიუსისთვის მიმართვა, აღსრულების ორგანოსთვის ან/და კერძო აღმასრულებლისთვის მიმართვა ან/და ქონების დასაკუთრების/რეალიზაციის პროცედურის დაწყების მიზნით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადახდევინების მიქცევის სხვა პროცედურის დაწყების მიზნით შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსათვის/პირისთვის მიმართვა;

თ) **რეფინანსირება** – მეწარმე სუბიექტის მიერ საკუთარი, პროგრამის ფარგლებს გარეთ აღებული, მიმდინარე კრედიტის გაზრდა იმავე ან სხვა კომერციული ბანკისგან პროგრამის ფარგლებში მიღებული ახალი კრედიტით, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შემთხვევაში, მეწარმე სუბიექტის მიერ საკუთარი, პროგრამის ფარგლებს გარეთ აღებული მიმდინარე კრედიტის გაზრდა იმავე მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან მიღებული კრედიტით (ამასთან, დასაშვებია პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის რეფინანსირება, თანხის დამატების გარეშე, როგორც კომერციული ბანკის მიერ, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ);

თ¹) **რესტრუქტურიზება** – მეწარმე სუბიექტის მიერ საკუთარი, პროგრამის ფარგლებს გარეთ აღებული, მიმდინარე კრედიტის დაფარვის პირობების ცვლილება იმავე სესხის მოცულობის გაზრდით პროგრამის ფარგლებში იმავე ან სხვა კომერციულ ბანკში. ამასთან, პროგრამის ფარგლებს გარეთ გაცემული სესხის პროგრამაში რესტრუქტურიზების შემთხვევაში სავალდებულო ნამეტი თანხის მოცულობა უნდა შეადგენდეს დასარესტრუქტურიზებელი სესხის ნარჩენი ძირის არანაკლებ 10%-ს, არანაკლებ 50 000 ლარს. რესტრუქტურიზებად განიხილება ასევე პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის დაფარვის პირობების ცვლილება, ნებისმიერი მოცულობის თანხის დამატებით ან მის გარეშე. ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შემთხვევაში, რესტრუქტურიზებად მიიჩნევა მეწარმე სუბიექტის მიერ მხოლოდ პროგრამის ფარგლებში აღებული მიმდინარე კრედიტის დაფარვის პირობების ცვლილება იმავე ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში, თანხის დამატებით ან მის გარეშე;

ი) **კაპიტალური ხარჯი** – დანახარჯი, გაწეული ისეთ მატერიალურ ან/და არამატერიალურ აქტივზე (გარდა გუდვილისა), რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოებისთვის, საქონლის მიწოდებისთვის/ მომსახურების გაწევისთვის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისთვის და რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია;

კ) **საბრუნავი საშუალებები** – აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ კაპიტალურ ხარჯს;



ლ) **კომერციული ბანკი** – „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კომერციული ბანკი, რომელთანაც ამ პროგრამის ფარგლებში სააგენტოს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება;

მ) **მიკროსაფინანსო ორგანიზაცია** – „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომლის ბიზნესსესხების მოცულობა მის მთლიან საკრედიტო პორტფელში 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით აღემატება 2 მილიონ ლარს და რომელთანაც ამ პროგრამის ფარგლებში სააგენტოს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება;

ნ) **სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში;

ო) **სამინისტრო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

პ) **ხაზინა** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახური;

ჟ) **ხელშეკრულება** – სააგენტოსა და კომერციულ ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის ამ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულება;

რ) **მიმართვის ფორმა** – სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტი, ფაქტობრივი პორტფელის შემადგენელი ახალი, ხოლო ბანკის შემთხვევაში – ასევე რესტრუქტურირებული სესხის ძირითადი მახასიათებლების თაობაზე;

ს) **კვალიფიციური პორტფელი**:

– სქემის ფარგლებში ჩართულ კომერციულ ბანკებს შორის საგარანტიო თანხის გადანაწილების კრიტერიუმში, რომელიც დაითვლება თითოეული ბანკის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების მიმართულებით პროგრამით დადგენილი კრიტერიუმებისა და ლიმიტების შესაბამისად გაცემული სესხების შესაბამისად და რომლის პროპორციულად მოხდება კომერციული ბანკებისთვის გამოყოფილი საგარანტიო თანხის გადანაწილება;

– საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სააგენტოსათვის მიწოდებული და სქემის ფარგლებში ჩართული თითოეული მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის დათვლილი მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების მიმართულებით გაცემული სესხების ჯამური მოცულობა, რომლის პროპორციულად მოხდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის გათვალისწინებული საგარანტიო თანხის გადანაწილება;

ტ) **შემოსავალი** – „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული შემოსავალი;

უ) **რეფინანსირებული სესხი** – კრედიტი, რომლის დაფარვის პირობების შეცვლაზე არსებობს შეთანხმება კომერციულ ბანკსა/მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და მსესხებელს შორის და დაფარვის პირობების ცვლილება არ არის გამოწვეული მსესხებლის ფინანსური სირთულეებით;

ფ) **განაცხადი** – სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტი, სადეპოზიტო ანგარიშზე ფაქტობრივი პორტფელის შემადგენელი ახალი/რეფინანსირებული, ხოლო ბანკის შემთხვევაში – ასევე რესტრუქტურირებული სესხისთვის გათვალისწინებული საგარანტიო თანხის ჩარიცხვის თაობაზე, რომელიც გამოხატულია ეროვნულ ვალუტაში;

ქ) **სადეპოზიტო ანგარიში** – სააგენტოს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კომერციულ ბანკში გახსნილი ანგარიში, რომელსაც კომერციული ბანკი ყოველდღიურად არიცხავს პროგრამით დადგენილ საპროცენტო სარგებელს, განკუთვნილია პროგრამით განსაზღვრული კონკრეტული მიზნისათვის და აღჭურვილია პროგრამით დადგენილი სხვა ფუნქციებით.



მუხლი 3. პროგრამის განხორციელება

1. პროგრამის კოორდინაციას ახორციელებს სამინისტრო, რომელიც ასევე უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ ამ დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ზედამხედველობას.
2. სააგენტო, თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს კომერციული ბანკების/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხებიდან ან/და რესტრუქტურირების სესხებიდან გამომდინარე კომერციული ბანკ(ებ)ის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური რისკის გადანაწილებას, ამ პროგრამის მე-4 მუხლით განსაზღვრული პირობებისა და ლიმიტების შესაბამისად.
3. სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის, პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებები.
4. კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ამ პროგრამისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, უფლებამოსილია, ამ პროგრამის ფარგლებში გასცეს/დაარეფინანსიროს პროგრამის ფარგლებს გარეთ გაცემული სესხი, ხოლო კომერციული ბანკის შემთხვევაში, მოახდინოს პროგრამის ფარგლებს გარეთ გაცემული სესხის რესტრუქტურირებაც.
5. კომერციული ბანკი უფლებამოსილია, პროგრამის ფარგლებში სესხის რესტრუქტურირების ან/და რეფინანსირების შესაძლებლობა მისცეს მხოლოდ იმ მსესხებლებს, რომელთა მიმდინარე სესხი/სესხები გაცემულია დადგენილების დანართ №1-ით გათვალისწინებული მიზნობრიობით და რომლებიც, 2020 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანების შესაბამისად კლასიფიცირდება „სტანდარტული“ სესხის კატეგორიაში.
- 5¹. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია, პროგრამის ფარგლებში სესხის რეფინანსირების შესაძლებლობა მისცეს მხოლოდ იმ მსესხებლებს, რომელთა მიმდინარე სესხი/სესხები გაცემულია დადგენილების დანართ №1-ით გათვალისწინებული მიზნობრიობით და რომლებიც, 2020 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №142/04 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კლასიფიცირდება სტანდარტული აქტივის (0%-იანი რეზერვი) კატეგორიაში.
6. კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია, პროგრამის ფარგლებს გარეთ გაცემული სესხის რეფინანსირება მოახდინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ფარგლებში ხდება თანხის დამატება, რომელიც პროგრამისათვის განიხილება ახალი სესხის აღებად და სავალდებულოა, აკმაყოფილებდეს ახალი სესხისთვის პროგრამით დადგენილ ლიმიტებსა და კრიტერიუმებს, გარდა ამ პროგრამის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.
7. კომერციული ბანკი ვალდებულია, პროგრამის ფარგლებში სესხის რესტრუქტურირება არ მოახდინოს მიმდინარე სესხისთვის დაწესებულ საპროცენტო განაკვეთზე მაღალ განაკვეთში. ამასთან, თუ ხდება რამდენიმე განსხვავებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ადრე გაცემული სესხის რესტრუქტურირება, ბანკი ვალდებულია, პროგრამის ფარგლებში რესტრუქტურირებული სესხი არ გასცეს დასახელებული სესხების საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთზე მაღალ განაკვეთში.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის დარღვევად არ მიიჩნევა კომერციული ბანკის მიერ რესტრუქტურირებისას საპროცენტო განაკვეთის შესაძლო გაზრდა პროგრამის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული სქემის საკომისიოს მოცულობის პროპორციულად.



9. პროგრამის ფარგლებს გარეთ გაცემული სესხის პროგრამის ფარგლებში რეფინანსირებისას/რესტრუქტურისთვის, ნამეტი თანხა მიიჩნევა პროგრამის ფარგლებში გაცემულ ახალ სესხად და მასზე არ ვრცელდება საპროცენტო განაკვეთის ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა.

10. თითოეული კომერციული ბანკისთვის კვალიფიციური პორტფელის შესაბამისად გადანაწილებული საგარანტიო თანხის არაუმეტეს 60%-ისა შეიძლება, მიმართულ იქნეს პროგრამის ფარგლებში რესტრუქტურისთვის სესხებისთვის, კომერციულ ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

11. სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკის გარკვეულ სექტორში (მათ შორის, სექტორში შემავალ ცალკეულ საქმიანობის სახეებში) ან/და რეგიონში სესხების მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში, შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, მინიმუმ 30 კალენდარული დღით ადრე აცნობოს კომერციულ ბანკებს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას სამომავლოდ კონკრეტულ სექტორში (მათ შორის, სექტორში შემავალ ცალკეულ საქმიანობის სახეებში) ან/და კონკრეტულ რეგიონში საკრედიტო გარანტიის გაცემის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული არ გამოიწვევს უკვე გაცემული საკრედიტო გარანტიების გაუქმებას.

12. სააგენტო უფლებამოსილია, რისკების შეფასების საფუძველზე, შეუჩეროს ან შეუწყვიტოს კონკრეტულ კომერციულ ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას პროგრამაში მონაწილეობის უფლება, რის შესახებაც მინიმუმ 14 კალენდარული დღით ადრე უნდა აცნობოს მას. აღნიშნული არ გამოიწვევს უკვე გაცემული საკრედიტო გარანტიების გაუქმებას.

13. ამ მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას სააგენტო მოქმედებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ბანკისათვის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის ყოველგვარი დასაბუთების წარდგენის გარეშე.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №352 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 აგვისტოს დადგენილება №539 - ვებგვერდი, 27.08.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ნოემბრის დადგენილება №681 – ვებგვერდი, 12.11.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის დადგენილება №51 – ვებგვერდი, 08.02.2021წ.*

მუხლი 4. საკრედიტო გარანტია

1. საკრედიტო გარანტია წარმოადგენს სააგენტოსა და კომერციულ ბანკ(ებ)ს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის კომერციული ბანკ(ებ)ს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული/რეფინანსირებული (მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შემთხვევაში, მხოლოდ ნამეტი თანხის (ახალი სესხის) ნაწილში) და, ბანკის შემთხვევაში, ასევე რესტრუქტურისთვის სესხების დეფოლტის საფუძველზე წარმოქმნილი ფინანსური რისკის გადანაწილების ინსტრუმენტს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში და პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. პროგრამაში მონაწილე თითოეული კომერციული ბანკისთვის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის საკრედიტო გარანტია გაცემა შემდეგი ლიმიტების შესაბამისად:

ა) პროგრამის ფარგლებში დროის ნებისმიერი მომენტისთვის არსებული ფაქტობრივი პორტფელის არაუმეტეს 35 პროცენტის ოდენობაზე;

ბ) პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემულ თითოეულ სესხზე სესხის ძირი თანხის ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მეწარმე სუბიექტთან შეთანხმებით მოთხოვნილ, თუმცა არაუმეტეს სესხის ძირი თანხის 90 პროცენტის ოდენობაზე;

გ) გაცემული სესხის კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში რესტრუქტურისთვის/რეფინანსირებისთვის, რესტრუქტურისთვის/ რეფინანსირებულ სესხზე სესხის ნარჩენი ძირი თანხის ბანკის მიერ მეწარმე სუბიექტთან შეთანხმებით მოთხოვნილ, თუმცა არაუმეტეს სესხის ნარჩენი ძირი თანხის 30 პროცენტის ოდენობაზე, ხოლო ნამეტი თანხის (ახალი სესხის) ბანკის მიერ მოთხოვნილ, თუმცა არაუმეტეს სესხის 90 პროცენტის ოდენობაზე;



დ) გაცემული სესხის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ პროგრამის ფარგლებში რეფინანსირებისას, მხოლოდ ნამეტ თანხაზე, ნამეტი თანხის (ახალი სესხის) ძირითადი თანხის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მეწარმე სუბიექტთან შეთანხმებით მოთხოვნილ, თუმცა არაუმეტეს ნამეტი თანხის (ახალი სესხის) ძირითადი თანხის 90 პროცენტის ოდენობაზე.

2¹. პროგრამაში დასაშვებია პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის რესტრუქტურირება/რეფინანსირება როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ, ასევე კომერციული ბანკის მიერ, რა დროსაც არ იცვლება პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხზე სააგენტოს მიერ უკვე გაცემული გარანტიის პროცენტული მაჩვენებელი.

3. კომერციული ბანკის მიერ გაცემული/რესტრუქტურირებული/ რეფინანსირებული სესხებისთვის საგარანტიო თანხის უზრუნველყოფის მიზნით:

ა) სააგენტო უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციულ ბანკში გახსნას სადეპოზიტო ანგარიში;

ბ) სამინისტრო პროგრამით განსაზღვრული ასიგნების ფარგლებში უზრუნველყოფს სააგენტოსათვის თანხის გადარიცხვას, სახელმწიფო ხაზინაში არსებულ სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით, ამ პროგრამით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

გ) სააგენტო ვალდებულია, ამ პროგრამით განსაზღვრული წესის დაცვით, სახელმწიფო ხაზინაში მის ანგარიშზე, პროგრამის ფარგლებში ჩარიცხული თანხა განათავსოს კომერციულ ბანკში, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე. ამ ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი ეკუთვნის სახელმწიფო ბიუჯეტს და ამ პროგრამით განსაზღვრულ ვადებში გადაირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში. სახელმწიფო ბიუჯეტში ასევე მიიმართება პროგრამის ფარგლებში აუთვისებელი (უკან მობრუნებული) თანხები;

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით სააგენტოს მიერ მიღებული შემოსავალი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩაითვალოს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებულად და ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული სახსრები აისახება სსიპის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში.

3¹. ამ დადგენილების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სააგენტოს მიერ დადასტურებული იმ ახალი/რეფინანსირებული/რესტრუქტურირებული სესხებისთვის/სესხების ტრანშებისთვის ამ თარიღის მდგომარეობით ჩაურიცხავი საგარანტიო თანხის უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის ასიგნებების ფარგლებში:

ა) სააგენტოს ოფიციალური მიმართვის საფუძველზე (რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს სამინისტროში არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა), სამინისტრო პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში უზრუნველყოფს აღნიშნული სესხებისათვის განკუთვნილი თანხის გადარიცხვას სახელმწიფო ხაზინაში არსებულ სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე;

ბ) სააგენტო ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებულ თანხას განათავსებს შესაბამის კომერციულ ბანკში ამ დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გახსნილ სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშზე, ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. ამასთან, აღნიშნულ ანგარიშზე ამ წესით განთავსებული თანხის მართვა, სარგებლის დარიცხვა/გადარიცხვა ხორციელდება ამ პროგრამითა და დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და სააგენტოსა და კომერციულ ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით სააგენტოს მიერ მიღებული შემოსავალი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩაითვალოს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებულად და ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული



სახსრები აისახება სააგენტოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში.

4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული/ რეფინანსირებული სესხებისთვის საგარანტიო თანხის უზრუნველყოფის მიზნით:

ა) სააგენტო უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მითითებულ კომერციულ ბანკში, რომელთანაც სააგენტოს ამ მიზნით გაფორმებული აქვს სადეპოზიტო ანგარიშის მომსახურების ხელშეკრულება, გახსნას სადეპოზიტო ანგარიში;

ბ) სამინისტრო, პროგრამით განსაზღვრული ასიგნების ფარგლებში, უზრუნველყოფს სააგენტოსათვის თანხის გადარიცხვას, სახელმწიფო ხაზინაში არსებულ სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრები) შემოსავლების ანგარიშზე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით, ამ პროგრამით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

გ) სააგენტო ვალდებულია, სახელმწიფო ხაზინაში მის ანგარიშზე, პროგრამის ფარგლებში ჩარიცხული თანხა პროგრამის შესაბამისად განათავსოს კომერციულ ბანკში, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე, ამ ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი ეკუთვნის სახელმწიფო ბიუჯეტს და ამ პროგრამით განსაზღვრულ ვადებში გადაირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში. სახელმწიფო ბიუჯეტში ასევე მიიმართება პროგრამის ფარგლებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ აუთვისებელი (უკან მობრუნებული) თანხები.

4¹. ამ დადგენილების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სააგენტოს მიერ დადასტურებული იმ ახალი/რეფინანსირებული სესხებისთვის/სესხის ტრანშებისთვის ამ თარიღის მდგომარეობით ჩაურიცხავი საგარანტიო თანხის უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის ასიგნებების ფარგლებში:

ა) სააგენტოს ოფიციალური მიმართვის საფუძველზე (რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს სამინისტროში არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა), სამინისტრო პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში უზრუნველყოფს აღნიშნული სესხებისათვის განკუთვნილი თანხის გადარიცხვას სახელმწიფო ხაზინაში არსებულ, სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე;

ბ) სააგენტო ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებულ თანხას განათავსებს დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სააგენტოსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ შესაბამის კომერციულ ბანკში ამ დადგენილების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გახსნილ სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშზე, ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. ამასთან, აღნიშნულ ანგარიშზე ამ წესით განთავსებული თანხის მართვა, სარგებლის დარიცხვა/გადარიცხვა ხორციელდება ამ პროგრამითა და დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სააგენტოსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით სააგენტოს მიერ მიღებული შემოსავალი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩაითვალოს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებულად და ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული სახსრები აისახება სააგენტოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში.

5. კომერციული ბანკი უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და კომერციულ ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში დადგენილი წესის შესაბამისად გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე არსებულ საგარანტიო თანხაზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვას ყოველდღიურად, რეფინანსირების განაკვეთის შესაბამისად.

6. რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში, სადეპოზიტო ანგარიშზე პროცენტის ცვლილება ხორციელდება რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების მომდევნო სამუშაო დღეს.



7. პროგრამის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული, შესაბამისი საბიუჯეტო წლისათვის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტით პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებებითა და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული, ამ პროგრამის ფარგლებში მოზიდული სახსრებით, რომელიც კვალიფიციური პორტფელის პროპორციულად ნაწილდება პროგრამაში ჩართულ კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის. ამასთან, თითოეული საბიუჯეტო წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობის არანაკლებ 10%-ისა სამინისტროს შესაბამისი აქტის საფუძველზე მიმართულ უნდა იქნეს პროგრამის ფარგლებში ჩართული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული/რეფინანსირებული სესხებისათვის საკრედიტო გარანტიების უზრუნველსაყოფად.

8. ამ პროგრამის მე-7 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების საფუძველზე, კომერციული ბანკებიდან/მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან ან/და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა გზით სახელმწიფო ხაზინაში არსებული სააგენტოს სხვა შემოსავლების ანგარიშზე დაბრუნებული/მოზიდული სახსრები შესაძლებელია, სააგენტოს მიერ გამოყენებულ იქნეს ამ პროგრამით გათვალისწინებული ახალი/არსებული საკრედიტო გარანტიების გაცემისათვის/უზრუნველყოფისათვის ან/და დაბრუნდეს/ჩაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

8¹. სააგენტო მოახდენს კომერციული ბანკისთვის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი გარანტიის კორექტირებას/ხელახალ გადაანაწილებას, სააგენტოსა და კომერციულ ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, შემდეგ შემთხვევებში:

ა) გამოყოფილი გარანტიის ათვისების მაჩვენებლის შესწავლისას – სააგენტო უფლებამოსილია, ათვისების მაჩვენებლის გათვალისწინებით, ხელახლა გადაანაწილოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის/კომერციული ბანკის მიერ აუთვისებელი გარანტია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს/კომერციულ ბანკებს შორის (ყოველ 6 კალენდარულ თვეში ერთხელ); ან

ბ) პროგრამაში ახალი კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ჩართვისას/დამატებისას – აღნიშნულ შემთხვევაში, სააგენტო პროგრამაში მონაწილე თითოეული კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აუთვისებელი საგარანტიო თანხის არაუმეტეს 10%-ს მიმართავს დამატებული კომერციული ბანკისათვის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის საგარანტიო თანხის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ამ წესით გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს დამატებული კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კვალიფიციური პორტფელის შესაბამისად დაანგარიშებულ საგარანტიო თანხის მოცულობას (ყოველ 6 კალენდარულ თვეში ერთხელ); ან

გ) პროგრამაში მონაწილე კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ პროგრამაში მონაწილეობაზე უარის თქმისას – სააგენტო აღნიშნული კომერციული ბანკისათვის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის გამოყოფილი საგარანტიო თანხის აუთვისებელ ნაწილს კვალიფიციური პორტფელის შესაბამისად გადაუნაწილებს პროგრამაში დარჩენილ კომერციულ ბანკებს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ პროგრამაში მონაწილეობაზე უარის თქმიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

დ) ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად გამოყოფილი საგარანტიო თანხის ხელახალი გადაანაწილება განსაზღვრავს კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადაანაწილების შემდგომ ასათვისებელი გარანტიის მოცულობას და არ იქონიებს გავლენას ხელახალ გადაანაწილებამდე სააგენტოს მიერ გაცემული გარანტიების მოცულობაზე.

9. პროგრამის ფარგლებში გაცემულ/რეფინანსირებულ (მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მხოლოდ სესხის ნამეტი თანხის (ახალი სესხის) ნაწილში) სესხ(ებ)ზე კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ხოლო კომერციული ბანკი ასევე რესტრუქტურირებულ სესხებზე ყოველთვიურად უზრუნველყოფს საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს ჩარიცხვას ხაზინის ერთიან ანგარიშზე სესხის ნაშთის გარანტირებული ნაწილის წლიური 0.3%-ის ოდენობით, საკრედიტო გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში, კომერციულ ბანკსა/მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და



სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში რესტრუქტურისებული/რეფინანსირებული სესხების შემთხვევაში, თითოეული სესხის ნაშთის ოდენობა დაითვლება სესხის რესტრუქტურისაციის/რეფინანსირების დღეს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

10. პროგრამის ფარგლებში საკრედიტო გარანტია შესაძლოა, გაიცეს მხოლოდ იმ სესხების მიმართ, რომელთა მსესხებელი მეწარმე სუბიექტები აკმაყოფილებენ პროგრამით განსაზღვრულ პირობებს.

11. პროგრამის ფარგლებში, კონკრეტულ სესხთან დაკავშირებით საკრედიტო გარანტიის გაცემის შემთხვევაში, ბენეფიციარი იმავე სესხზე დამატებით ვერ ისარგებლებს სხვა საგარანტიო სქემით (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო) და პირიქით, თუ კრედიტზე სხვა საგარანტიო სქემის/ფონდის (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო) ფარგლებში უკვე გაცემულია გარანტია, აღნიშნულ კრედიტთან დაკავშირებით არ მოხდება პროგრამის ფარგლებში საკრედიტო გარანტიის გაცემა.

12. კონკრეტულ სესხთან დაკავშირებით საკრედიტო გარანტიის გაცემის შემთხვევაში, ბენეფიციარი იმავე სესხის ფარგლებში ვერ ისარგებლებს „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-5 მუხლით განსაზღვრული ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სესხი გაცემულია ეკონომიკური საქმიანობების შემდეგ სახეებზე:

- ლაბორატორიული საქმიანობა (საქმიანობის კოდი: 86.90.0);
- კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები ბიოტექნოლოგიაში (საქმიანობის კოდი: 72.11.0);
- ტექნიკური გამოცდები და ანალიზები (71.20.0);
- საზღვაო თევზჭერა (საქმიანობის კოდი: 03.11.0).

12¹. ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, საზღვაო თევზჭერის მიმართულებით სარგებლობისას კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია, ბენეფიციარის მიერ საქმიანობისთვის საჭირო ძირითადი საშუალების (თევზსაჭერი გემის) შეძენის შემთხვევაში, გემის საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციისთანავე, მოახდინოს გემის უფლებრივი დატვირთვა პროგრამის ფარგლებში აღებული/რესტრუქტურისებული/რეფინანსირებული სესხის უზრუნველსაყოფად და მოახდინოს კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მეწარმე სუბიექტთან შეთანხმებით მოთხოვნილი და სააგენტოს მიერ ამ სესხზე გაცემული გარანტიის ნაწილობრივ გამოთავისუფლება სააგენტოსა და ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

13. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტში ჩართულ ბენეფიციარს უფლება აქვს, ამ პროგრამის ფარგლებში მოახდინოს იმ სესხის რეფინანსირება/რესტრუქტურისება, რომელზეც სრულად არის ჩარიცხული 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით განსაზღვრული თანადაფინანსების თანხა ან/და გასულია ამავე დადგენილებით განსაზღვრული თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვის ვადა.

14. კონკრეტულ სესხზე საკრედიტო გარანტიის გაცემის შემთხვევაში, ბენეფიციარს იმავე სესხზე შეუძლია, ისარგებლოს „შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულების შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტით, თუ ბენეფიციარის საქმიანობა თავსდება დადგენილების დანართ №1-ით განსაზღვრულ ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალში.

15. პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხზე უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება, გამოყენებულ იქნეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-7 მუხლის შესაბამისად გადაცემული ქონება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც



ბენეფიციარის მიერ პროგრამის ფარგლებში აღებული ყველა სახის ვალდებულება შესრულებულია და აღნიშნულის თაობაზე არსებობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დადასტურება.

16. საკრედიტო გარანტია არ გაიცემა იმ სესხებთან დაკავშირებით, რომელთა მსესხებელს წარმოადგენს საწარმო, რომელშიც სახელმწიფო/საჯარო სამართლის იურიდიული პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს 10 პროცენტზე მეტ წილს/აქციას ან/და პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს საწარმოს მართვაში სესხის გაცემის მომენტისთვის.

17. პროგრამის ფარგლებში სესხის აღება არ შეუძლიათ იმ მეწარმე სუბიექტებს, რომლებმაც ამ სქემის ფარგლებში ერთხელ უკვე განიცადეს დეფოლტი ან/და დაარღვიეს ამ დადგენილებით განსაზღვრული პირობები ან/და დაარღვიეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის პირობები ან/და სესხის გაცემის/რეფინანსირების/ რესტრუქტურირების მომენტისთვის გააჩნიათ საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე) ან/და რეგისტრირებულნი არიან მოვალეთა რეესტრში.

18. საკრედიტო გარანტია არ შეიძლება გაიცეს იმ სესხ(ებ)ზე, რომლებიც დაფინანსდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 მარტის №177 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „თანადაფინანსების მექანიზმი მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისათვის“ ფარგლებში.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №352 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 აგვისტოს დადგენილება №539 - ვებგვერდი, 27.08.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ნოემბრის დადგენილება №681 – ვებგვერდი, 12.11.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №816 – ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის დადგენილება №51 – ვებგვერდი, 08.02.2021წ.*

მუხლი 5. საკრედიტო საგარანტიო სქემის ბენეფიციარები

1. პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტები, ხოლო თანამსესხებლების მიერ სესხის აღების/რეფინანსირების/ რესტრუქტურირების შემთხვევაში – თითოეული ცალ-ცალკე, სესხის აღების/რეფინანსირების/რესტრუქტურირების მომენტისთვის უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) მეწარმე სუბიექტი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უნდა აკმაყოფილებდეს III ან IV კატეგორიების საწარმოსთვის დადგენილ მოთხოვნებს მხოლოდ შემოსავლის კომპონენტში;

ბ) მეწარმე სუბიექტის სასესხო ვალდებულებები არ უნდა აღემატებოდეს 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარს.

2. ბენეფიციარი უზრუნველყოფს:

ა) ამ დადგენილების №1 დანართით განსაზღვრულ საქმიანობის სახე(ებ)ში, გარდა ამ პუნქტის „ა¹“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი საქმიანობის სახეებისა, წარმოების/მომსახურების მიწოდების დაწყებას: ახალი საწარმოს გახსნის შემთხვევაში – არაუგვიანეს 24 თვის განმავლობაში, ხოლო არსებული საწარმოს შემთხვევაში – არაუგვიანეს 12 თვის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდი შედის საკრედიტო გარანტიით სარგებლობის ვადაში;

ა¹) ამ დადგენილების №1 დანართით განსაზღვრული შემდეგი საქმიანობის სახეებში, კოდებით: 01.21.0; 01.22.0; 01.23.0; 01.24.0; 01.25.0; 01.26.0; 01.27.0; 01.28.0 და 01.29.0 წარმოების დაწყებას პროგრამაში ჩართვის მომენტიდან არაუგვიანეს 60 თვის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდი შედის საკრედიტო გარანტიით სარგებლობის ვადაში;

ბ) ამ პუნქტის „ა“ და „ა¹“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წარმოების/მომსახურების მიწოდების დაწყებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში საქმიანობის პროფილის შენარჩუნებას, თუმცა არანაკლებ



პროგრამის ფარგლებში გაცემული საკრედიტო გარანტიის ვადისა.

3. ბენეფიციარის მიერ აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარს ეკისრება სანქცია, რომელიც გათვალისწინებული იქნება კომერციულ ბანკსა/მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ბენეფიციარს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ამასთან, ბენეფიციარის მიერ აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევად არ მიიჩნევა საქმიანობის პროფილის ისეთი ცვლილება, რომელიც თავსდება დადგენილების დანართ №1-ით განსაზღვრულ ეკონომიკური საქმიანობის სახეების ჩამონათვალიში.

4. ბენეფიციართან შეთანხმებით, კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია, სრულად ან ნაწილობრივ უარი თქვას საკრედიტო გარანტიაზე ან/და ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში, კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია, სრულად ან ნაწილობრივ ჩაანაცვლოს საკრედიტო გარანტია სხვა უზრუნველყოფით.

5. (ამოღებულია - 04.06.2020, №352).

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №352 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ნოემბრის დადგენილება №681 – ვებგვერდი, 12.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის დადგენილება №51 – ვებგვერდი, 08.02.2021წ.

მუხლი 6. მოთხოვნები პროგრამის ფარგლებში გაცემულ /რეფინანსირებულ/რესტრუქტურიზებულ სესხთან მიმართებით

1. კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარისთვის გაცემული სესხის მინიმალური მოცულობა შეადგენს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხის მინიმალური მოცულობა – 20 000 (ოცი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური მოცულობა – 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარს. უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხ(ებ)ის რესტრუქტურიზებისას/რეფინანსირებისას, ამ პუნქტით გათვალისწინებული სესხის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობები განისაზღვრება ეკვივალენტური/შესაბამისი ოდენობებით უცხოურ ვალუტაში, სესხის რესტრუქტურიზაციის/რეფინანსირების დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად. სესხის მაქსიმალური მოცულობა არ იცვლება თანამსესხებლების მიერ სესხის აღების/რეფინანსირების/რესტრუქტურიზების შემთხვევაში. ამასთან, პროგრამის ფარგლებში სესხის რესტრუქტურიზებისას/რეფინანსირებისას სესხის მოცულობად მიიჩნევა რესტრუქტურიზების/რეფინანსირების განხორციელების მომენტში არსებული სესხის ნაშთი და არა გაცემული სესხის თავდაპირველი ოდენობა.

2. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი უფლებამოსილია, ისარგებლოს რამდენიმე სესხით, თუ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების ჯამური მოცულობა არ აღემატება 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარს. თანამსესხებლების მიერ სესხის აღების შემთხვევაში, მათ მიერ აღებული სესხების ჯამური ოდენობა (ცალ-ცალკე და ერთობლივად) არ უნდა აღემატებოდეს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარს.

3. პროგრამის ფარგლებში სესხი გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, ხოლო სესხის რესტრუქტურიზება/რეფინანსირება შესაძლებელია როგორც უცხოურ, ასევე ეროვნულ ვალუტაში. ამასთან, პროგრამის ფარგლებში დასაშვებია უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხის რესტრუქტურიზაცია როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე იმავე ვალუტაში, რესტრუქტურიზების განხორციელების დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

4. საკრედიტო გარანტია მოქმედებს სესხის პროგრამის ფარგლებში გაცემიდან/პროგრამაში ჩართვიდან (რეფინანსირების/რესტრუქტურიზების მიზნებისთვის) არაუმეტეს 10 წლის განმავლობაში.

5. საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოფს სესხის გაცემას ან/და რეფინანსირებას, ხოლო ბანკის შემთხვევაში, ასევე სესხის რესტრუქტურიზაციას ამ დადგენილების №1 დანართით განსაზღვრულ ეკონომიკური საქმიანობის სახეებში.



6. რეფინანსირება/რესტრუქტურირება პროგრამის მიზნებისათვის არ მიიჩნევა ახალი სესხის გაცემად.

7. პროგრამის ფარგლებს გარეთ გაცემული სესხის რეფინანსირებისას, ნამეტი თანხა მიიჩნევა პროგრამის ფარგლებში აღებულ ახალ სესხად, რომელიც შესაძლოა, არ აკმაყოფილებდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებული სესხის მინიმალური მოცულობის მოთხოვნას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნამეტი თანხა (ახალი სესხი) გაცემულია რეფინანსირებული სესხის მომსახურების მიზნით, რომელიც, თავის მხრივ, აკმაყოფილებდა პროგრამით დადგენილ ლიმიტებსა და კრიტერიუმებს.

8. პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის რეფინანსირების შემთხვევაში, თუ სესხის მოცულობა არ აკმაყოფილებს სქემის ფარგლებში მოთხოვნილ კრიტერიუმს, საკრედიტო გარანტიის გამოყენება ხდება სესხის თავდაპირველი მახასიათებლ(ებ)ის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №352 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ნოემბრის დადგენილება №681 – ვებგვერდი, 12.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის დადგენილება №51 – ვებგვერდი, 08.02.2021წ.

მუხლი 7. პროგრამის განხორციელების პროცესი და საკრედიტო გარანტიის თანხის მართვა

1. პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველი მეწარმე სუბიექტი მიმართავს შესაბამის ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას.

2. კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ამოწმებს მეწარმე სუბიექტის შესაბამისობას პროგრამის მე-5 მუხლის პირველი და მე-6 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების მოთხოვნებთან და, დასახელებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, სააგენტოს უგზავნის სრულყოფილად შევსებულ მიმართვის ფორმას.

3. სააგენტო უზრუნველყოფს კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მიმართვის ფორმით წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისობის შემოწმებას პროგრამის კრიტერიუმებსა და პირობებთან.

4. კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ სესხის ძირითადი მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსთვის მიწოდებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში სააგენტო ადასტურებს ან უარყოფს სესხის ძირითადი მახასიათებლების შესაბამისობას პროგრამის კრიტერიუმებსა და პირობებთან. სააგენტოს დასტურის შემთხვევაში, სესხი ითვლება პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულად.

4¹. დამტკიცებული სესხის/სესხის ტრანშის გაცემის შემდეგ კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სააგენტოსთან შეთანხმებული ფორმითა და შეთანხმებულ დროში წარუდგენს მას განაცხადს, საგარანტიო თანხის მოთხოვნის თაობაზე.

5. სააგენტოს მიერ ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ან/და მე-4 პუნქტის შესაბამისად სადეპოზიტო ანგარიშებზე ჩასარიცხი საგარანტიო თანხის ოდენობა, რომელიც გამოხატულია ეროვნულ ვალუტაში, განისაზღვრება კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ წინა თვის ბოლო დღის მდგომარეობით, წინა თვის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაცემული:

– ახალი სესხების შემთხვევაში, ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი ლიმიტების ფარგლებში – კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მეწარმე სუბიექტთან შეთანხმებული მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა არაუმეტეს სესხის 31.5 პროცენტის ოდენობით; ხოლო

– მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ რეფინანსირებული სესხების შემთხვევაში, ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, მხოლოდ ნამეტ თანხაზე (ახალი სესხი) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მეწარმე სუბიექტთან შეთანხმებული მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა არაუმეტეს ნამეტი თანხის (ახალი სესხის) 31.5 პროცენტის



ოდენობით;

– კომერციული ბანკის მიერ რესტრუქტურირებული/ რეფინანსირებული სესხების შემთხვევაში, ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი ლიმიტების ფარგლებში – კომერციული ბანკის მეწარმე სუბიექტთან შეთანხმებული მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა არაუმეტეს რესტრუქტურირებული/ რეფინანსირებული სესხის ძირის 10.5 პროცენტის, ხოლო ნამეტი თანხის (ახალი სესხი) არაუმეტეს 31.5 პროცენტის ოდენობით.

6. სააგენტო საკრედიტო გარანტიის თანხის ჩარიცხვას უზრუნველყოფს წინამდებარე დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 ან/და მე-4 პუნქტის შესაბამისად კომერციულ ბანკ(ებ)ში გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე ყოველი თვის 15 რიცხვამდე.

7. ყოველი თვის 10 რიცხვამდე კომერციული ბანკი უზრუნველყოფს წინა თვის ბოლო დღის მდგომარეობით არსებული ფაქტობრივი პორტფელის შემადგენელი როგორც ახალი, ასევე რეფინანსირებული/რესტრუქტურირებული სესხების ძირი თანხის დაფარვების შესაბამისად თანხის დაბრუნებას სახელმწიფო ხაზინაში სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრები) შემოსავლების ანგარიშზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ დრომდე, როდესაც სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა სრულად არ არის ამოწურული გადეთვლილებული სესხების გარანტირებული ნაწილის ჩამოჭრების შედეგად. თანხის ამოწურვის შემთხვევაში, დაფარვების მიხედვით, თანხის ჩარიცხვის ვალდებულება კომერციულ ბანკს წარმოეშობა სესხების გაცემის/რეფინანსირების/რესტრუქტურირების შედეგად ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის არსებობის შემდეგ, რის საფუძველზეც ყოველი თვის 10 რიცხვამდე კომერციული ბანკი უზრუნველყოფს წინა თვის ბოლო დღის მდგომარეობით არსებული ფაქტობრივი პორტფელის შემადგენელი სესხების ძირი თანხის მხოლოდ მიმდინარე დაფარვების შესაბამისი პროპორციული ოდენობის თანხის სახელმწიფო ხაზინაში არსებული სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვას.

7¹. ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო ხაზინაში სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრები) შემოსავლების ანგარიშზე დაფარვების შესაბამისად ბანკის მიერ ჩასარიცხი თანხის მოცულობა განისაზღვრება:

– ახალი სესხების ძირი თანხის (ასევე რეფინანსირების/რესტრუქტურირების შესაბამისად ნამეტი თანხის) გარანტირებული ნაწილის შესაბამისად, არაუმეტეს დაფარვების 31.5 პროცენტის,

– ხოლო რესტრუქტურირებული სესხების ძირი თანხის გარანტირებული ნაწილის შესაბამისად, არაუმეტეს დაფარვების 10.5 პროცენტის (რომელიც გამოხატულია ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით.

8. ყოველი თვის 8 რიცხვამდე, ამ პროგრამისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოფს წინა თვის ბოლო დღის მდგომარეობით მისი პორტფელის შემადგენელი ახალი სესხების ძირი თანხის, ასევე რეფინანსირებისას ნამეტი თანხის (ახალი სესხი) დაფარვების შესაბამისად თანხის კალკულაციას და ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გახსნილი სადეპოზიტო ანგარიშის მომსახურების ხელშეკრულების (შემდგომში – სადეპოზიტო ანგარიშის მომსახურების ხელშეკრულება) საფუძველზე ამ სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის თაობაზე კომერციული ბანკისათვის საგადახდო დავალების მიცემას, რომელიც დავალების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის ჩამოჭრას ამავე პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშიდან და სახელმწიფო ხაზინაში სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრები) შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვას. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია, ბანკს მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ დრომდე მისცეს სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის დავალება, სანამ ამ დეპოზიტზე არსებული თანხა სრულად არ არის ამოწურული სესხების გარანტირებული ნაწილის ჩამოჭრების შედეგად. სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრისა და სააგენტოს საბიუჯეტო ანგარიშზე გადარიცხვის დავალების მიცემის ვალდებულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციას წარმოეშობა მხოლოდ ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის არსებობის შემდეგ. ანგარიშზე თანხის არსებობის შემთხვევაში, ყოველი თვის 8 რიცხვამდე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ბანკისთვის წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე, დავალების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში



კომერციული ბანკი უზრუნველყოფს წინა თვის ბოლო დღის მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციის არსებული ფაქტობრივი პორტფელის შემადგენელი სესხების ძირი თანხის მხოლოდ მიმდინარე დაფარვების შესაბამისი პროპორციული ოდენობის სახელმწიფო ხაზინაში არსებული სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვას.

8¹. ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო ხაზინაში სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრები) შემოსავლების ანგარიშზე დაფარვების შესაბამისად ბანკის მიერ ჩასარიცხი თანხის მოცულობა (რომლის კალკულაციას ახდენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) განისაზღვრება როგორც ახალი სესხის ძირის, ასევე რეფინანსირების შედეგად მხოლოდ ნამეტი თანხის გარანტირებული ნაწილის შესაბამისად, არაუმეტეს დაფარვების 31.5 პროცენტის ოდენობით. „.. სააგენტო ამოწმებს, ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, კომერციული ბანკის მიერ სააგენტოს ანგარიშზე ჩარიცხული თანხის სისწორეს და, აღმოჩენილი უზუსტობის შემთხვევაში, მხარეები უზრუნველყოფენ აღნიშნული უზუსტობის აღმოფხვრას, კომერციულ ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად.

9¹. სააგენტო ამოწმებს ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად კომერციული ბანკის მიერ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დავალების საფუძველზე, სააგენტოს ანგარიშზე ჩარიცხული თანხის სისწორეს და, აღმოჩენილი უზუსტობის შემთხვევაში, სააგენტო და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (კომერციული ბანკის მეშვეობით) უზრუნველყოფენ აღნიშნული უზუსტობის აღმოფხვრას, სააგენტოსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და დეპოზიტის მომსახურების ხელშეკრულების თანახმად.

10. კომერციული ბანკი უზრუნველყოფს საკრედიტო გარანტიის ვადის ამოწურვის, საკრედიტო გარანტიაზე სრულად უარის თქმის ან საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფით სრულად ჩანაცვლების შემთხვევაში, ახალი სესხის ძირი თანხის (ასევე რეფინანსირებისას/რესტრუქტურირებისას ნამეტი თანხის) ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ სესხის გარანტირებული ნაწილის შესაბამის, თუმცა არაუმეტეს 31.5 პროცენტის, ხოლო რესტრუქტურირებული სესხის ძირი თანხის ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ სესხის გარანტირებული ნაწილის შესაბამის, თუმცა არაუმეტეს ნაშთის 10.5 პროცენტის, რომელიც გამოხატულია ეროვნულ ვალუტაში, ჩარიცხვას სახელმწიფო ხაზინაში არსებული სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების ანგარიშზე, საკრედიტო გარანტიის ვადის ამოწურვიდან, საკრედიტო გარანტიაზე სრულად უარის თქმიდან, საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფით სრულად ჩანაცვლებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

11. საკრედიტო გარანტიის ვადის ამოწურვის, საკრედიტო გარანტიაზე სრულად უარის თქმის, საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფით სრულად ჩანაცვლების შემთხვევაში, დასახელებული შემთხვევების დადგომიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოფს მის მიერ გაცემული ახალი სესხის ძირი თანხის, ასევე რეფინანსირების შედეგად ნამეტი თანხის (ახალი სესხი) ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ სესხის გარანტირებული ნაწილის შესაბამის, თუმცა არაუმეტეს ნაშთის 31.5 პროცენტის კალკულაციას და ანგარიშის მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად კომერციული ბანკისთვის საგადახდო დავალების მიცემას, სააგენტოს მიერ ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გახსნილი სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრისა და სახელმწიფო ხაზინაში არსებული სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების ანგარიშზე გადარიცხვის თაობაზე.

12. სესხის ტრანშებად გაცემის შემთხვევაში, საგარანტიო თანხის განთავსება კომერციულ ბანკში ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-3 ან/და მე-4 პუნქტის შესაბამისად გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშებზე ხორციელდება ტრანშის პროპორციულად.

13. კომერციული ბანკის მიერ გაცემული/რესტრუქტურირებული სესხის დეფოლტის შემთხვევაში, სააგენტოსთვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, კომერციული ბანკი მოახდენს სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშიდან ასათვისებელი თანხის ჩამოჭრას, პროგრამის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

14. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხის დეფოლტის შემთხვევაში, კომერციული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მისთვის მიცემული საგადახდო დავალების საფუძველზე მოახდენს სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშიდან ასათვისებელი თანხის ჩამოჭრას პროგრამის მე-9



მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ანგარიშზე გადარიცხვას.

15. კომერციულ ბანკში პროგრამის მე-4 მუხლის მე-3 ან/და მე-4 პუნქტის შესაბამისად არსებულ სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული ნაშთი არ ექვემდებარება ფისკალური წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტში უკან დაბრუნებას.

16. კომერციული ბანკი ყოველი თვის 15 რიცხვამდე უზრუნველყოფს ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-3 ან/და მე-4 პუნქტის შესაბამისად გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში გამოხატული დეპოზიტის საპროცენტო სარგებლის ჩარიცხვას ხაზინის ერთიან ანგარიშზე. კომერციული ბანკი ვალდებულია, უზრუნველყოს მის მიერ გაცემულ/რეფინანსირებულ/რესტრუქტურირებულ სესხებზე საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს თანხის ჩარიცხვა ამ პუნქტში დასახელებულ ანგარიშზე, ამ პუნქტშივე დასახელებულ ვადაში.

16¹. ყოველი თვის 15 რიცხვამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოფს მის მიერ გაცემულ/რეფინანსირებულ სესხებზე (მხოლოდ ნამეტ თანხაზე) საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს თანხის ჩარიცხვას ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

17. კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით შეთანხმებული ფორმითა (წერილობით, ელექტრონულად, პროგრამული უზრუნველყოფით) და პერიოდულობით უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ სააგენტოსთვის პროგრამის ფარგლებში გაცემული/რეფინანსირებული, ხოლო ბანკის შემთხვევაში, ასევე რესტრუქტურირებული სესხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

18. ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით შეთანხმებული ფორმითა (წერილობით, ელექტრონულად, პროგრამული უზრუნველყოფით) და პერიოდულობით, კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია აწვდის სააგენტოს განახლებულ ინფორმაციას სასესხო პორტფელის შესახებ, სესხის დაფარვების, ვადაგადაცილებების, დეფოლტისა და ახალი/რეფინანსირებული (მხოლოდ ნამეტი თანხის (ახალი სესხის) ნაწილში), კომერციული ბანკის შემთხვევაში, ასევე რესტრუქტურირებული სესხების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №352 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ნოემბრის დადგენილება №681 – ვებგვერდი, 12.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის დადგენილება №51 – ვებგვერდი, 08.02.2021წ.

მუხლი 8. ხელშეკრულებით გასათვალისწინებელი პირობები

ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, მხარეთა შორის შეთანხმებულ სხვა პირობებთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) სანქცია, რომელიც ეკისრება ბენეფიციარს ამ პროგრამის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში;

ბ) სანქცია, რომელიც შესაძლოა დაეკისროს კომერციულ ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ამ პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

გ) კომერციული ბანკსა/მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და სააგენტოს შორის ინფორმაციის გაცვლის წესი და ფორმა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №352 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

მუხლი 9. საკრედიტო გარანტიის აღსრულების პროცედურა დეფოლტის დადგომის შემდეგ

1. კომერციული ბანკის მიერ გაცემული/რესტრუქტურირებული/ რეფინანსირებული სესხების



დეფოლტის დადგომის შემდეგ ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული საგარანტიო თანხიდან კომერციული ბანკის მიერ ხდება საკრედიტო გარანტიის ათვისება პროგრამით გათვალისწინებული ლიმიტების ფარგლებში, ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხების (მოიცავს რეფინანსირების შედეგად ნამეტ თანხას) დეფოლტის დადგომის შემდეგ ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული საგარანტიო თანხიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალებისა და სააგენტოს დასტურის შემდეგ კომერციული ბანკის მიერ ხდება საკრედიტო გარანტიის თანხის ჩამოჭრა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ანგარიშზე გადარიცხვა, რომლის მიერ, თავის მხრივ, ხდება საგარანტიო თანხის ათვისება პროგრამით გათვალისწინებული ლიმიტების ფარგლებში, ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

3. დეფოლტის დადგომის თაობაზე კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია დაუყოვნებლივ აცნობებს სააგენტოს და აწვდის ინფორმაციას საკრედიტო გარანტიის თანხიდან ასათვისებელი თანხის ოდენობის თაობაზე (შემდგომში – ასათვისებელი თანხა).

4. ასათვისებელი თანხა კომერციული ბანკის შემთხვევაში წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში გაცემული/რეფინანსირებული/ რესტრუქტურირებული სესხის დეფოლტის საფუძველზე წარმოქმნილი ფინანსური რისკის გადანაწილების მიზნით კომერციული ბანკის მიერ სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშიდან ჩამოსაჭრელი თანხის მოცულობას, რომელიც განისაზღვრება ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

4¹. ასათვისებელი თანხა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შემთხვევაში წარმოადგენს, პროგრამის ფარგლებში გაცემული/ რეფინანსირებული სესხის (მხოლოდ ნამეტი თანხის (ახალი სესხის) ნაწილში) დეფოლტის საფუძველზე წარმოქმნილი ფინანსური რისკის გადანაწილების მიზნით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალებისა და სააგენტოს დასტურის საფუძველზე, კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშიდან ჩამოსაჭრელი თანხის მოცულობას, რომელიც განისაზღვრება ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

5. ასათვისებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება გადეფოლტებული სესხის ძირითადი თანხის (გადასახდელი პროცენტებისა და საკომისიოს გარეშე) ნაშთის გარანტირებული ნაწილის შესაბამისად, დეფოლტის მომენტისთვის არსებული კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფაქტობრივი პორტფელის 35 პროცენტის ოდენობაზე. კერძოდ, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, გადეფოლტებული სესხ(ებ)ი ანაზღაურდება მანამ, სანამ თითოეული კომერციული ბანკისთვის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის პროგრამის ფარგლებში გადეფოლტებული სესხების თანხის ჯამური მოცულობა მიაღწევს ფაქტობრივი პორტფელის 35 პროცენტს.

6. კომერციულ ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, სააგენტოს მიერ ასათვისებელი თანხის ოდენობის სისწორის დადასტურების შემდეგ, კომერციული ბანკი უფლებამოსილია, ჩამოჭრას სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული თანხიდან ასათვისებელი თანხის ოდენობა.

7. დეფოლტის დადგომის საფუძველზე, კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოფს გადეფოლტებული სესხის ამოღების მიზნით შესაბამისი ქმედებების განხორციელებას.

8. სესხის ამოღების შედეგად მიღებული თანხის გადანაწილება 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით გაცემულ/რეფინანსირებულ, ბანკის შემთხვევაში, ასევე რესტრუქტურირებული სესხების შემთხვევაში, ხდება სესხის გარანტირებული და არაგარანტირებული ნაწილის პროპორციულად. ამოღებული თანხიდან სესხის გარანტირებული ნაწილის შესაბამისი მოცულობა, თუმცა არაუმეტეს ამოღებული თანხის:

– 90 პროცენტისა (კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული ახალი სესხის



(ასევე რეფინანსირებისას და ბანკის შემთხვევაში რესტრუქტურირებისასაც ნამეტი თანხის ნაწილში) შემთხვევაში);

- 30 პროცენტისა (გაცემული სესხის კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში რესტრუქტურირებისას, რესტრუქტურირებული ძირის ნაწილში);

ჩაირიცხება ხაზინის ანგარიშზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი ჩაირიცხება კომერციულ ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას. ამასთან, თუ დადგა იმ რესტრუქტურირებული/რეფინანსირებული სესხის დეფოლტის შემთხვევა, რომელიც გაცემულია და რესტრუქტურირებულია/რეფინანსირებულია პროგრამის ფარგლებში, ამოღებული თანხის გადანაწილებისას, ამოღებული თანხიდან სესხის გარანტირებული ნაწილის შესაბამისი მოცულობა, თუმცა არაუმეტეს ამოღებული თანხის 90 პროცენტისა ჩაირიცხება ხაზინის ანგარიშზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი ჩაირიცხება კომერციულ ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას.

9. სესხის ამოღების შედეგად ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მიღებული თანხის გადანაწილების საფუძველზე, ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადარიცხული თანხა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-2 ან/და მე-6 პუნქტის შესაბამისად სადეპოზიტო ანგარიშიდან კომერციული ბანკის მიერ ჩამოჭრილი ასათვისებელი თანხის ფაქტობრივ ოდენობას.

10. თუ სესხის ამოღების პროცესში ვერ მოხდა უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაცია და, აქედან გამომდინარე, განხორციელდა კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ბენეფიციარის ქონების დასაკუთრება, კომერციული ბანკის მიერ დასაკუთრებული ქონების რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მაქსიმუმ 2 (ორი) წლის განმავლობაში, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მაქსიმუმ 3 (სამი) წლის ვადაში სააგენტოსთვის კუთვნილი ნაწილის ჩარიცხვა ხაზინის ერთიან ანგარიშზე განხორციელდება კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ დასაკუთრებული ქონების რეალიზაციის შემდეგ, ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად.

11. თუ ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდა დასაკუთრებული ქონების რეალიზაცია, აღნიშნული ქონების სალიკვიდაციო ღირებულების ხელახალი შეფასების საფუძველზე, ორი თვის განმავლობაში კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოფს სააგენტოსთვის კუთვნილი ნაწილის ჩარიცხვას ხაზინის ერთიან ანგარიშზე, ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად.

12. თუ პროგრამის ფარგლებში გასაცემი/დასარესტრუქტურირებული/ დასარეფინანსირებელი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ბენეფიციარის მიერ ხდება ისეთი ქონების მითითება, რომელზეც უკვე რეგისტრირებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებები (იპოთეკა/გირავნობა), მოთხოვნის წარმოშობის მომენტში კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

13. (ამოღებულია - 12.11.2020, №681).

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №352 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ნოემბრის დადგენილება №681 – ვებგვერდი, 12.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის დადგენილება №51 – ვებგვერდი, 08.02.2021წ.

მუხლი 10. პროგრამის მიმართულებები და მიზნობრიობა

საკრედიტო გარანტია გაიცემა №1 დანართით განსაზღვრულ საქმიანობის სახეებში, მხოლოდ შემდეგი ორი მიზნობრიობით:

ა) წარმოებისათვის/მომსახურების გაწევისთვის საჭირო კაპიტალური ხარჯებისთვის – სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის მოცულობის არანაკლებ 80 (ოთხმოცი) პროცენტისა;



ბ) საბრუნავი საშუალებების შესაძენად – სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის მოცულობის არა უმეტეს 20 (ოცი) პროცენტისა.

მუხლი 11. მონიტორინგი, გამჭვირვალობა და ანგარიშგება

1. პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო.
2. სააგენტო უზრუნველყოფს ბენეფიციარის მიერ პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს. ბენეფიციარის მიერ პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააგენტო ოფიციალურად აცნობებს კომერციულ ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას.
3. სააგენტო ახორციელებს კომერციული ბანკების/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული/რეფინანსირებული სესხების (მხოლოდ ნამეტი თანხის (ახალი სესხის) ნაწილში), ხოლო კომერციული ბანკის შემთხვევაში ასევე რესტრუქტურირებული სესხების პორტფელის, მათ შორის, პორტფელის ხარისხის მაჩვენებლების, სექტორულ და გეოგრაფიულ განაწილებასთან დაკავშირებული საკითხების, სექტორებისა და ბენეფიციარების კატეგორიების მიხედვით დეფოლტის მაჩვენებლების ანალიზს (საკმარისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში), საჭიროების შემთხვევაში, ამზადებს რეკომენდაციებს საგარანტიო სქემაში ცვლილებების შეტანის შესახებ და წარუდგენს სამინისტროს.
4. პროგრამის ფარგლებში სააგენტო უფლებამოსილია, კომერციული ბანკისგან/მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა.
5. ყოველკვარტალურად სააგენტო ახორციელებს პროგრამის შესახებ ანგარიშების მომზადებასა და სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებას.
6. პროგრამის შედეგების მონიტორინგის მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია, პროგრამის ამოქმედებიდან ყოველწლიურად განახორციელოს გარე აუდიტი.
7. პროგრამის ფარგლებში, სააგენტო ბუღალტრულ და ფინანსურ ანგარიშგებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8. (ამოღებულია - 04.06.2020, №352).
9. (ამოღებულია - 04.06.2020, №352).
10. (ამოღებულია - 04.06.2020, №352).
11. (ამოღებულია - 04.06.2020, №352).
12. (ამოღებულია - 04.06.2020, №352).

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №352 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ნოემბრის დადგენილება №681 – ვებგვერდი, 12.11.2020წ.

მუხლი 12. პროგრამის შეწყვეტის პირობები

1. პროგრამის მოქმედება შეიძლება, შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2. პროგრამის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, გაცემული საკრედიტო გარანტიების ანაზღაურება მოხდება საკრედიტო გარანტიის გაცემისას, პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
3. ამ პროგრამის განხორციელებიდან გამომდინარე, ნებისმიერი დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



მუხლი 13. სხვა არსებითი დებულებები

1. ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დადგენილი საკრედიტო გარანტიის გაცემის ლიმიტები დასახელებული რედაქციით მოქმედებს 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით დამტკიცებული ახალი/რესტრუქტურირებული/რეფინანსირებული სესხებისათვის.

2. 2021 წლის 1 ივნისიდან პროგრამის ფარგლებში დაუშვებელია კომერციული ბანკის მიერ ადრე გაცემული სესხის/სესხების რესტრუქტურირაცია, შესაბამისად, დასახელებული თარიღიდან იურიდიულ ძალას კარგავს ყველა ის მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი, რომელიც არეგულირებს პროგრამის ფარგლებს გარეთ გაცემული სესხის პროგრამაში რესტრუქტურირებას. ამასთან, აღნიშნული არ გამოიწვევს უკვე გაცემული გარანტიების მოქმედების გაუქმებას 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული რესტრუქტურირებული სესხებისათვის.

3. ამ პროგრამის მე-10 მუხლის შესაბამისად დადგენილი პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის მიზნობრიობის თანაფარდობა არ ვრცელდება 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით დამტკიცებულ ახალ/რეფინანსირებულ/ რესტრუქტურირებულ სესხებზე.

4. 2021 წლის 1 ივნისიდან პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამაში მონაწილე თითოეული კომერციული ბანკისთვის საკრედიტო გარანტია გაიცემა შემდეგი ლიმიტების შესაბამისად:

ა) პროგრამის ფარგლებში დროის ნებისმიერი მომენტისთვის არსებული ფაქტობრივი პორტფელის არაუმეტეს 35 პროცენტის ოდენობაზე;

ბ) პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემულ თითოეულ სესხზე სესხის ძირი თანხის ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მეწარმე სუბიექტთან შეთანხმებით მოთხოვნილ, თუმცა არაუმეტეს სესხის ძირი თანხის 80 პროცენტის ოდენობაზე.“.

5. 2021 წლის 1 ივნისიდან პროგრამის მე-7 მუხლში:

ა) მე-5, მე-7, 7¹, მე-8, 8¹, მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სააგენტოს მიერ ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ან/და მე-4 პუნქტის შესაბამისად სადეპოზიტო ანგარიშზე ჩასარიცხი საგარანტიო თანხის ოდენობა (იმ სესხებისათვის, რომლებიც დამტკიცებული და გაცემულია 2021 წლის 31 მაისის შემდეგ), რომელიც გამოხატულია ეროვნულ ვალუტაში, განისაზღვრება კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ წინა თვის ბოლო დღის მდგომარეობით წინა თვის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაცემული:

– ახალი სესხების შემთხვევაში, ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი ლიმიტების ფარგლებში – კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მეწარმე სუბიექტთან შეთანხმებული მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა არაუმეტეს სესხის 28 პროცენტის ოდენობით;

– მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ რეფინანსირებული სესხების შემთხვევაში, ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, მხოლოდ ნამეტ თანხაზე (ახალი სესხი) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მეწარმე სუბიექტთან შეთანხმებული მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა არაუმეტეს ნამეტი თანხის (ახალი სესხის) 28 პროცენტის ოდენობით;

– კომერციული ბანკის მიერ რეფინანსირებული სესხების შემთხვევაში, ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი ლიმიტების ფარგლებში – კომერციული ბანკის მეწარმე სუბიექტთან შეთანხმებული მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა არაუმეტეს რეფინანსირებული სესხის ძირის 10.5 პროცენტის, ხოლო ნამეტი თანხის (ახალი სესხი) არაუმეტეს 28 პროცენტის ოდენობით.“.



„7. ყოველი თვის 10 რიცხვამდე კომერციული ბანკი უზრუნველყოფს წინა თვის ბოლო დღის მდგომარეობით არსებული ფაქტობრივი პორტფელის შემადგენელი როგორც ახალი, ასევე რეფინანსირებული/რესტრუქტურირებული სესხების (რომლებიც დამტკიცებულია 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით) ძირი თანხის დაფარვების შესაბამისად თანხის დაბრუნებას სახელმწიფო ხაზინაში სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრები) შემოსავლების ანგარიშზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ დრომდე, როდესაც სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა სრულად არ არის ამოწურული გადაფოლტებული სესხების გარანტირებული ნაწილის ჩამოჭრების შედეგად. თანხის ამოწურვის შემთხვევაში, დაფარვების მიხედვით, თანხის ჩარიცხვის ვალდებულება კომერციულ ბანკს წარმოემოხა სესხების გაცემის/რეფინანსირების/რესტრუქტურირების შედეგად ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის არსებობის შემდეგ, რის საფუძველზეც ყოველი თვის 10 რიცხვამდე კომერციული ბანკი უზრუნველყოფს წინა თვის ბოლო დღის მდგომარეობით არსებული ფაქტობრივი პორტფელის შემადგენელი სესხების ძირი თანხის მხოლოდ მიმდინარე დაფარვების შესაბამისი პროპორციული ოდენობის თანხის სახელმწიფო ხაზინაში არსებული სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვას.

7¹. ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო ხაზინაში სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრები) შემოსავლების ანგარიშზე დაფარვების შესაბამისად ბანკის მიერ ჩასარიცხი თანხის მოცულობა განისაზღვრება:

– 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით დამტკიცებული ახალი სესხების ძირი თანხის (ასევე რეფინანსირების/რესტრუქტურირების შესაბამისად ნამეტი თანხის (ახალი სესხი)) გარანტირებული ნაწილის შესაბამისად, არაუმეტეს დაფარვების 31.5 პროცენტის ოდენობით;

– 2021 წლის 31 მაისის შემდგომ დამტკიცებული და გაცემული ახალი სესხების ძირი თანხის (ასევე რეფინანსირებისას შესაბამისად ნამეტი თანხის (ახალი სესხი)) გარანტირებული ნაწილის შესაბამისად, არაუმეტეს დაფარვების 28 პროცენტის ოდენობით;

– 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით დამტკიცებული რესტრუქტურირებული/რეფინანსირებული სესხების ძირი თანხის გარანტირებული ნაწილის შესაბამისად, არაუმეტეს დაფარვების 10.5 პროცენტის (რომელიც გამოხატულია ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით;

– 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით დამტკიცებული რეფინანსირებული სესხების ძირი თანხის გარანტირებული ნაწილის შესაბამისად, არაუმეტეს დაფარვების 10.5 პროცენტის (რომელიც გამოხატულია ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით.

8. ყოველი თვის 8 რიცხვამდე, ამ პროგრამისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოფს წინა თვის ბოლო დღის მდგომარეობით მისი პორტფელის შემადგენელი ახალი სესხების ძირი თანხის, ასევე რეფინანსირებისას ნამეტი თანხის (ახალი სესხი) (რომლებიც დამტკიცებულია 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით) დაფარვების შესაბამისად თანხის კალკულაციას და ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გახსნილი სადეპოზიტო ანგარიშის მომსახურების ხელშეკრულების (შემდგომში – სადეპოზიტო ანგარიშის მომსახურების ხელშეკრულება) საფუძველზე ამ სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის თაობაზე კომერციული ბანკისათვის საგადახდო დავალების მიცემას, რომელიც დავალების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის ჩამოჭრას ამავე პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშიდან და სახელმწიფო ხაზინაში სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრები) შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვას. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია, ბანკს მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ დრომდე მისცეს სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის დავალება, სანამ ამ დეპოზიტზე არსებული თანხა სრულად არ არის ამოწურული სესხების გარანტირებული ნაწილის ჩამოჭრების შედეგად. სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრისა და სააგენტოს საბიუჯეტო ანგარიშზე გადარიცხვის დავალების მიცემის ვალდებულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციას წარმოემოხა მხოლოდ ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის არსებობის შემდეგ. ანგარიშზე თანხის არსებობის შემთხვევაში, ყოველი თვის 8 რიცხვამდე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ბანკისთვის წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე, დავალების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში კომერციული ბანკი უზრუნველყოფს წინა თვის ბოლო



დღის მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციის არსებული ფაქტობრივი პორტფელის შემადგენელი სესხების ძირი თანხის მხოლოდ მიმდინარე დაფარვების შესაბამისი პროპორციული ოდენობის სახელმწიფო ხაზინაში არსებული სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვას.

8¹. ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო ხაზინაში სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრები) შემოსავლების ანგარიშზე დაფარვების შესაბამისად ბანკის მიერ ჩასარიცხი თანხის მოცულობა (რომლის კალკულაციას ახდენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) განისაზღვრება როგორც ახალი სესხის ძირის, ასევე რეფინანსირების შედეგად მხოლოდ ნამეტი თანხის, გარანტირებული ნაწილის შესაბამისად:

– 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით დამტკიცებულ სესხებზე არაუმეტეს დაფარვების 31.5 პროცენტის ოდენობით;

– 2021 წლის 31 მაისის შემდგომ დამტკიცებულ და გაცემულ სესხებზე არაუმეტეს დაფარვების 28 პროცენტის ოდენობით.“.

„10. კომერციული ბანკი უზრუნველყოფს, საკრედიტო გარანტიის ვადის ამოწურვის, საკრედიტო გარანტიაზე სრულად უარის თქმის ან საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფით სრულად ჩანაცვლების შემთხვევაში, 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით დამტკიცებული ახალი სესხის ძირი თანხის (ასევე რეფინანსირებისას/რესტრუქტურირებისას ნამეტი თანხის (ახალი სესხი)) ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ სესხის გარანტირებული ნაწილის შესაბამის, თუმცა არაუმეტეს ამ სესხის ძირი თანხის ნაშთის 31.5 პროცენტის, ხოლო რესტრუქტურირებული სესხის ძირი თანხის ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ სესხის გარანტირებული ნაწილის შესაბამის, თუმცა არაუმეტეს ნაშთის 10.5 პროცენტის, რომელიც გამოხატულია ეროვნულ ვალუტაში, ჩარიცხვას სახელმწიფო ხაზინაში არსებული სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების ანგარიშზე, საკრედიტო გარანტიის ვადის ამოწურვიდან, საკრედიტო გარანტიაზე სრულად უარის თქმიდან, საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფით სრულად ჩანაცვლებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

11. საკრედიტო გარანტიის ვადის ამოწურვის, საკრედიტო გარანტიაზე სრულად უარის თქმის, საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფით სრულად ჩანაცვლების შემთხვევაში, დასახელებული შემთხვევების დადგომიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოფს მის მიერ 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით დამტკიცებული, ახალი სესხის ძირი თანხის, ასევე რეფინანსირების შედეგად ნამეტი თანხის (ახალი სესხი) ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ სესხის გარანტირებული ნაწილის შესაბამის, თუმცა არაუმეტეს ნაშთის 31.5 პროცენტის კალკულაციას და ანგარიშის მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად კომერციული ბანკისთვის საგადახდო დავალების მიცემას, სააგენტოს მიერ ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გახსნილი სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრისა და სახელმწიფო ხაზინაში არსებული სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების ანგარიშზე გადარიცხვის თაობაზე.“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 10¹ და 11¹ პუნქტები:

„10¹. კომერციული ბანკი უზრუნველყოფს საკრედიტო გარანტიის ვადის ამოწურვის, საკრედიტო გარანტიაზე სრულად უარის თქმის ან საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფით სრულად ჩანაცვლების შემთხვევაში 2021 წლის 31 მაისის შემდგომ დამტკიცებული და გაცემული ახალი სესხის ძირი თანხის (ასევე რეფინანსირებისას ნამეტი თანხის (ახალი სესხი)) ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ სესხის გარანტირებული ნაწილის შესაბამის, თუმცა არაუმეტეს ამ სესხის ძირი თანხის ნაშთის 28 პროცენტის, ხოლო რეფინანსირებული სესხის ძირი თანხის ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ სესხის გარანტირებული ნაწილის შესაბამის, თუმცა არაუმეტეს ნაშთის 10.5 პროცენტის, რომელიც გამოხატულია ეროვნულ ვალუტაში, ჩარიცხვას სახელმწიფო ხაზინაში არსებული სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების ანგარიშზე, საკრედიტო გარანტიის ვადის ამოწურვიდან, საკრედიტო გარანტიაზე სრულად უარის თქმიდან, საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფით სრულად ჩანაცვლებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.“.



„11¹. საკრედიტო გარანტიის ვადის ამოწურვის, საკრედიტო გარანტიაზე სრულად უარის თქმის, საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფით სრულად ჩანაცვლების შემთხვევაში, დასახელებული შემთხვევების დადგომიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოფს მის მიერ 2021 წლის 31 მაისის შემდგომ დამტკიცებული და გაცემული, ახალი სესხის ძირი თანხის, ასევე რეფინანსირების შედეგად ნამეტი თანხის (ახალი სესხი) ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ სესხის გარანტირებული ნაწილის შესაბამის, თუმცა არაუმეტეს ნაშთის 28 პროცენტის კალკულაციას და ანგარიშის მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად კომერციული ბანკისთვის საგადახდო დავალების მიცემას, სააგენტოს მიერ ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გახსნილი სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრისა და სახელმწიფო ხაზინაში არსებული სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების ანგარიშზე გადარიცხვის თაობაზე.“.

